

# საგრიელი

საორტული გაზეთი

სუთვაბათი 13 ნოემბერი 2003 №216 (1987)

ფასი 50 თეთრი

## თბილისური სენსაციები

### და ხელნისური ტუჩა-ტუჩა




გადრი კაბილაძის ფოტო

## ბაზარია!

გორალაბი მსაჯსაც ურბყავენ  
და მატყსაც ავრობასტაბან



გადრი კაბილაძის ფოტო



ზურაბ ბერიძის „ვიტ ჯორჯიაში“ ზედიზედ მეორედ წააგო

გადრი კაბილაძის ფოტო

### დაეუსრუჭებულა კოლხეთმა ვიტ ჯორჯია დააეუსრუჭა ფოთში გამარჯვება ვერ დაიჯერეს

საქართველოს ჩემპიონატის მე-17 ტურის გუმინდელი მატჩების რეპორტაჟი იხილეთ მეორე, მესამე, მეოთხე გვერდებზე



# ბაბულაქე თბილისი დაბრტყა



„ბათუმის“ მეკარე ზურაბ ქვიახია თბილისელებს მაგრად დაუღდა

თბილისი. 12 ნოემბერი. 15 საათი. მსაბრძოლი. 600 (ტყველობა 3 000)

## თბილისი 0:1 ბათუმი

**0:1 კაკალაძე (86)**

**თბილისი:** ივარდავა, გ. კვარაცხელია, სიდაშვილი, ელიაშვილი, ლოლაძე, მესხი (დ. ოდიკაძე 49), გ. ნუგ. ტელიძე, მიქუაძე (გ. ნოდ. ტელიძე 51), აფციაური, ხოჯავა (გენაძე 76), დავითაშვილი

**ბათუმი:** ქვიახია, ბეგლარ თედორაძე, გალოგრაძე, გუშარაშვილი, დუმბაძე, მახარაძე, კობიძე (დარჩიძე 46), ბესიკ თედორაძე, ი. შერგელია, მანჩავა, კაკალაძე

**სათადარიგო:** ნაჭყვიაძე, მემარნიშვილი, მიქიაშვილი, ყველაშვილი

**მწვრთნელი:** გიორგი დედუჩიანი

**მწვრთნელი:** ვალერიან ჩხარტიშვილი

**მსაჯები:** მ. მალაღულიძე, ზ. მენთეშვილი (ორივე თბილისი), ი. აფციაური (ბათუმი); გ. ასკაროლი (ქარელი)

**სფვ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო; **დირექტორი:** ვ. კობალაშვილი

**ჯარიმა 14-14; კუთხური 14-2; კარისკენ დარტყმა 7-7; კარში დარტყმა 8-4; თამაზარე 4-2**

რანხით დაიწყო, თუმცა ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებით: შეტევები უკვე აღარ იყო ისეთი მძაფრი და სახიფათო, როგორც პირველ 45 წუთში. თან ჩხარტიშვილი-ბალაძის მწვრთნელთა დუეტმა მოედანზე ბურთის „დამჭერი“ ვიტალი დარჩიძე შეიყვანა და „ბათუმს“ დროდადრო მოედნის ცენტრისკენ ადიოდა, დედაქალაქელთა შეტევები კი მეტოქის საჯარიმოს მისაღვომებს ვერ გასცდნოდა.

სტუმართა ბრძვალელები მალე გამოჩნდა — ირაკლი შერგელიას ყუმბარისებური დარტყმული მანქანარ ივარდავამ ნახტომით მოიგვრია,



„ბათუმის“ ორი მთავარსარდალი: ასლან ბალაძე და ვალერიან ჩხარტიშვილი

# ვიტ ჯორჯია 0:1 კოლხეთი

**0:1 ლაღანიძე (17)**

**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, ზგ. ლაბაძე (აბაშია 43), ინჯირელი, იმედაშვილი, დიდუბლაშვილი, გველესიანი, ლ. ნოზაძე, ვ. გოჩიაშვილი, დ. დოლიძე (დეკანოზიძე 46), მარცვალიძე (დათუნაშვილი 60), გოცირიძე

**სათადარიგო:** მამარდაშვილი, კვახაძე, ლ. მერეაშვილი

**მწვრთნელი:** ზურაბ ბერიძე

**მწვრთნელი:** ბაზრანიძე (64), ჩემა (81)

**მსაჯები:** მ. მისურაძე (თბილისი); ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ა. შილაძე (თბილისი)

**სფვ-ის ინსპექტორი:** ს. კუტივაძე; **დირექტორი:** ნ. კაკულია

**ჯარიმა 7-7; კუთხური 11; კარისკენ დარტყმა 12-0; კარში დარტყმა 9-3; თამაზარე 7-3**

# საუკეთესო დასვა დასვაა მოვიბათ! რაა? მოვიბათ! რაა?

კობა ინასარიძე

**სენსაციის** ქართულ ჩემპიონატში: 23 აგვისტოს მერე მოგების გემონატრულმა ფოთის „კოლხეთმა“ თბილისში ჩემპიონობის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად „ვიტ ჯორჯიას“ კაი გემორილი აღიფრთო ატყა. 11 ტური იტანჯებოდა „კოლხეთი“, სახედაკარულს სამი ქულა ლაბის საოცნებოდ ჰქონდა და აგერ, ბატონო, მოულოდნელი 0:1. მატჩის შემდეგ „კოლხეთის“ აღტაცებულმა ქომაგებმა მამრე ტელეფონები მოიმარჯვეს, ფოთელთათვის სასიხარულო ამბავი რომ შეეტყობინებინათ. ანგარიშის გამოერება თითოს რამდენჯერმე მოუხდა, შინაურებს მოგებაში ვერ აჯერებდნენ. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, სტუმრად მოპოვებული სამი ქულა თავიდან გუნდსაც არ სჯეროდა, თუმცა ვითარებაში მალევე გაერკვნენ და „შეჯერდნენ“ ლაბის ტაშფანდურა გამართეს.

„ვიტ ჯორჯიას“ კი, ჩანს, ჩავარდნის პერიოდი დაუღდა. ეტყობა, იმხანად ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერს ბათუმის გადაღებულმა მატჩმა კვალი დაატყო, რიტმიდან ამოავდო. „ვიტ ჯორჯიამ“ ბოლო სამ მატჩში ოდენ ქულა შეიმატა და პირველ-მეორეადგილოსნებს, „დინამოსა“ და „სიონს“ ისე ჩამორჩა, პირველი ეტაპის ლიდერად ჩამთარებას, ალბათ, ვეღარ შეძლებს. ფრე „დინამოსთან“, მარცხი ქუთაისში და გუშინ თბილისში „ვიტ ჯორჯიასთვის“ ეგებ სამომავლოდ ჭკუის სასწავლებელიც გამოდგეს.



ზაველი ლაღანიძე



# მეც იაზაკა ვარ

ნინა ტურის „დინამო“ – „ლოკომოტივი“ იმითაც იყო საინტერესო, რომ 18 წლის სანდრო იაზაკი პირველად ითამაშა „დინამოს“ სასტარტოში და გუნდმა სწორედ მისი გოლით მოიგო. დღეს დინამოელები ოზურგეთში „მერცხალს“ ეთამაშებიან, იაზაკს კი გუშინ ვესაუბრეთ

— პირველად „დინამოს“ სასტარტოში, კარგი თამაში და გარჯულების გოლი...

— ეს ჩემთვის დიდი ნდობა იყო, რაც გაგამართლე კიდევ ვფიქრობ, ურიგოდ არ მითამაშია, ეს ჩემი მეორე გოლი იყო ამ სეზონში.

— გოლი თავით შეაგდე და საერთოდ, თავით კარგად თამაშობ — ეს შენი ყველაზე ძლიერი მხარეა?

— თავით თამაში ალბათ ჩემი კოზირია. ამისთვის საჭიროა ნახტომი, კოორდინაცია და პოზიციის შერჩევა, მაგრამ ყველაფერ ამის გარდა თავით თამაშის განსაკუთრებული ნიჭიც უნდა გქონდეს.

— სასტარტოში რომ იქნებოდი, ივო შუშაკმა მატჩის წინა დღეს გითხრა?

— არა, რამდენიმე დღით ადრე და რაც შეეძლო, ვემზადებოდი.

— 18 წლის ფეხბურთელისთვის რას ნიშნავს დინამოელობა?

— დიდ სიხარულს და იმას, რომ მეტი შანსი გაქვს საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად — ძალიან კარგი პარტნიორების გვერდით გიწევს თამაში.

— პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ „დინამოდან“ ბევრი ფეხბურთელი წავა და აქცენტი ახალგაზრდებზე გაკეთდება — შეძლებთ ჩემპიონობის შენარჩუნებას?

— ეს ძნელი არ იქნება, თავს შებოჭილად სულაც არ ვიგონებო — ახალგაზრდებს ხომ თამაშის მეტი საშუალება მოგვეცემა.

— მოკლედ, მზად ხარ დინამოელის ტვირთისთვის?

— ამ ტვირთს სწორედაც რომ ველოდი.

— ფრაიბურგელი ალექსანდრე იაშვილის დარად, ვინც პირველი ნაბიჯები „დინამოში“ გადადგა, შენც „იაშაკს“ გეძახიან — ცოტა ხომ არ გეხამუშება ეს?

— არა, „იაშაკ“ ჩემი მეტსახელიცაა, რადგან მეც იაშვილი ვარ.


— როგორ ფიქრობ, თამაშის მანერით დიდ იაშვილს სულ არ გეგზარ?

— ეგ სხვებმა შეაფასონ.

— „მერცხალთან“ სასტარტოში იქნები?

— მე ეგ არ ვიცი, ვიცი ის, რომ მეტოქის დამარცხებას ველოდები.

**დავით თავართქილაძე**



ბადრი კატილაძის ფოტო



მურმან დვინაძის ფოტო

# რეხვიაშვილა დინამო გაიგო

**რუსული** პრესის მტკიცებით, მოსკოველი „ტორპედო-მეტალურგის“ ქართველ კაპიტან ალექსანდრე რეხვიაშვილს მეორე დღეა ქალაქური კლუბი — „დინამო“ ეპატივება.

რეხვიაშვილს დღემდე გართულებული ურთიერთობა აქვს „ტორპედო-მეტალურგის“ თავკაცობასთან და ამის გამო სეზონის ბოლო სარეზერვო გუნდში გაატარა. არადა, მანამდე ჩვენებური კლუბის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად ითვლებოდა.

„დინამოს“ ინტერესს არც თავად რეხვიაშვილი უარყოფს, თუმცა იმასაც ამბობს, რომ ამ ტრანსფერამდე ჯერ შორია:

— „დინამოს“ რომ ჩემი გადაბირება სურდა, მეც გავიგე, მაგრამ

ეს ადრე იყო. ჩემით ვიქტორ პროკოპენკო იყო დაინტერესებული, მაგრამ სეზონის ბოლოს მან მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა. ასე რომ, ახლა არ შემძლია იმის თქმა, შერჩა თუ არა კლუბს ჩემი შეტენის ინტერესი“.

რეხვიაშვილს ვერც ის გადაუწყვეტია, ითამაშებს თუ არა კვლავაც „ტორპედო-მეტალურგში“: „სათადარიგოთა სკამზე ჯდომას არ ვაპირებ. ამ საკითხზე კლუბის გენერალურ მენეჯერ იური ბელოუსს უკვე ველაპარაკე, მაგრამ ჩემს კითხვაზე გარკვეული პასუხი ჯერჯერობით ვერ მივიღე. „ტორპედო-მეტალურგის“ თავკაცობას კიდევ ერთხელ შევხვდები და ჩემი ბედიც მამინ გაირკვევა“.


ბასა ზალაგბერიძე

# აშვეთიას სურათი გადაულეს და სიმკი არ აკადრეს

**თუ ბასსოვთ,** ზუსტად ერთი კვირის წინ „ინტერ“ — „ლოკომოტივის“ ჩემპიონთა ლიგის მატჩში (1:1) მოსკოველთა ქართველი თავდამსხმელი მიხეილ აშვეთია დაშავდა და შესაცვლელი გახდა. ნამატჩვეს ჩვენებურმა გვითხრა, კუნთი მაქვს დაჭიმული და დაახლოებით ათდღიანი მკურნალობა დამჭირდება. აშვეთიას ნათქვამი ბოლომდე ზუსტი გამოდგა — მას ვარჯიშის უფლებას ექიმები ხვალდინ დართავენ.

— დღეს ფეხი რენტგენზე გააშუქეს და საშიში არაფერია. მკურნალობამ კარგად ჩაიარა და პარასკევს ვარჯიშსაც განვაახლებ. მიზანია, რომ ტრავმა სერიოზული არ გამოდგა და იოლად გადავრჩი — გვითხრა გუშინ მიხეილ აშვეთიამ.

ჩვენ კი შეგასხენებთ, რომ მოსკოვის „ლოკომოტივი“ ახლა პირველივე „ხიმკისთან“ თასის მეთექვსმეტეფინალის საპასუხო მატჩისთვის ემზადება. მოსკოვში რკინიგზელებმა უსახელო მეტოქე 4:0 დაამარცხეს და ფაქტობრივად მერვედფინალის საგზური დაიბევეს. ეს შეხვედრა აშვეთიამ სწორედ ამ ტრავმის გამო გამოტოვა, თუმცა, სავარაუდოდ, ის ვერც ამჯერად



დაუპირისპირდება „ხიმკის“. „ლოკომოტივის“ თავკაც იური სიომინს სურს, ჩვენებური ბოლომდე მომჯობინდეს და ჩემპიონთა ლიგაში დაიხმაროს. ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირში მოსკოველთა ძირითადი მეტოქე კიევის „დინამოა“.

ბასა ზალაგბერიძე

# კახა კალაძის ფეხი გაეზარდა



ბადრი კატილაძის ფოტო

**იტალიური „მილანის“ ქართველმა მცველმა კახა კალაძემ სამთვიანი მკურნალობის კურსი დაამთავრა და ინდივიდუალური პროგრამით შეუდგა ვარჯიშს. კახა, გეხსომებათ, აგვისტოში, რუმინულ „ნაციონალთან“ ამხანაგური მატჩისას დაშავდა, მას საზარდული გაუწყდა და საეჭირო შეიქნა. ტრავმა მოსალოდნელზე მძიმე გამოდგა, შესაბამისად, მკურნალობასაც მეტი დრო დასჭირდა**

— დავიღალე, მოედანი, თამაში მომენტარა, ჯერჯერობით მწვრთნელისა და ექიმის მეთვალყურეობით ფიზიკური კონდიციების გასაუმჯობესებლად ინდივიდუალურად ვვარჯიშობ, მომავალი კვირიდან კი გუნდს შევუერთდები — გვითხრა კახა კალაძემ — ექიმების თქმით, აღდგენითი პროცესი გაურთულებლად მიდის, საზარდული აღარ მაწუხებს, ვვარჯიშობ, დღითიდღე ძალა მემატება.

— სასურველ ფორმას მალე აღიდგენ?

— რა გითხრა, სამი თვის უვარჯიშებელი ვარ და ბურთის გრძნობაც კი დავკარგე. გუნდს როცა დავუბრუნდები და ბურთს გავაგორებ, ფორმაშიც ნელ-ნელა ჩავდგები. ახლა ჩემთვის უმთავრესი სათამაშო პრაქტიკაა, ოფიციალურ მატჩებამდე მწვრთნელი, ალბათ, საწვრთნელ შეხვედრებში მათამაშებს. ისე კი, ვიმელოვნებ, როცა სერია განახლდება, „კიევისთან“ პირველსავე მატჩში რამდენიმე წუთს მაინც ვითამაშებ.

ბობა ინასარიძე


არადა, გახსოვთ რა დღეში, ანუ როგორ გახარებულნი იყვნენ რუსები, როცა ევრო 2004-ის შესარჩევი ეტაპის სეპლიეოფო კენჭისყრამ მეტოქედ უელსი არგუნათ? მაშინდელ რუსულ პრესას თუ თვალს გადაავლებთ, იოლად შენიშნავთ ჩრდილოელთა კმაყოფილებას, აქაოდა, ბრიტანელებთან კარგად თამაში არასდროს გვიჭირდა და პორტუგალიაში მოსახვედრადაც ხელს ვერ შეგვიშლიანო. ახლა კი ვითარება საპირისპიროდ იცვლება. რუსთა მთავარმა მწვრთნელმა გიორგი იარცევმა გუშინწინდელ პრესკონფერენციაზე უელსის ნაკრებს ქება არ დააკლო — რიგიანი გუნდია, გამოცდილი და მცოდნე ფეხბურთელებით დაკომპლექტებული, ევროშესარჩევის ჯგუფშიც მეორე ადგილი ღირსეულად დაიჭირა, ერთი სიტყვით, მძიმე მატჩი გველისო. იარცევს არც რუსული მედია ჩამორჩა, მეტწილად

# ფრთხილად, რაიანია!

## ყინრი რუსები გიგზზე მოპროპალებით ლაპარაკობენ

რუსეთის ნაკრების მწვრთნელ-ფეხბურთელებს და იქაურ მედიას 15 ნოემბრის რუსეთ-უელსის მატჩის მოახლოებისას გაახსენდათ, რომ უელსის ნაკრებში თამაშობს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავი რა-

იან გიგზი, ნახევარმცველი, რომელიც პრემიერლიგაში ამჟამად მოთამაშე ფეხბურთელთა შორის ყველაზე ტიტულიანია და, არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვი, მარტოს შეუძლია მატჩის მოგება



რუსებს არც ის დაეწიყებიათ, რაიან გიგზს და სტივისი კუკს აბრილში გოგო რომ შეეძინათ

ყურადღებას კი თავში ნახსენებ რაიან გიგზს უთმობს და როგორც ჩანს, გამორჩეულად სწორედ მას უფროსიან.

რომ უელსელები ასე ახლოს არასდროს მდგარან ევროპის ჩემპიონატის კარიბჭესთან და რუსებთან შეხლა მათთვის ისტორიულ ელფერსაც კი იძენს.

თი ფეხბურთელი მყავდეს, ყველაწარი მის კაპრიზს მოვითმენდი.

**ალექს შარბიუსონი**, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი თუ არის ამ ქვეყნად იდეალური ნახევარმცველი, ის რაიან გიგზია. იგი გამოუცნობია არა მხოლოდ მეტოქისთვის, არამედ თანაგუნდელებისთვისაც. მე ჯერ არასდროს გამიწვრთნია ფეხბურთელი, რომლის საფეხბურთო აზროვნება ასე სწრაფი და სხარტი ყოფილიყო.

### იოჰან კრუიფი

გარინჩას შემდეგ მსოფლიო ფეხბურთი არ იცნობს გიგზის დარგარემარბს.

### როი პინი

როცა პირველად საქმეში ვნახე, მივხვდი, რომ მასთან ერთად თამაში ღიდი ბედნიერებაა. რაიანისთვის შეუძლებელია უხერხული პასის მიწოდება, რადგან იდეალურად იღებს ბურთს, ხოლო თავად მაშინ გაწვდის, როცა საჭიროა, ისე, როგორც არავინ და იქ სადაც უნდა.

### იან რაში

გული მწყდება, რომ უელსის ნაკრებში ერთად მცირე ხნით ვითამაშეთ, მაგრამ ეს დროც საკმარის-

სია იმის სათქმელად, რომ რაიანი საუკეთესო პარტნიორი იყო. ხოლო ის, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ინგლისში ყველაზე მეტი გოლით დაიტრატაბა, მისი დამსახურებაა. თანამედროვე ფეხბურთში იშვიათია შეუცვლელი ფეხბურთელი, მათ შორის გიგზი ერთ-ერთია.

### ლავილ ბექჰამი

ტყუილად არ უწოდებენ რაიანს ჯადოქარს. როცა იგი მოედანზეა, ნებისმიერი ანგარიშისას გამაჯრეკებაზე ფიქრობ, რადგან იგი — გიგზს სასწაულის მოხდენა შეუძლია.

### მასიმო მორატი

გიგზი ერთადერთი ფეხბურთელია, რომლის სანაცვლოდ „ინტერის“ ნებისმიერ მოთამაშეს, თუნდაც ორს, შეველევი.

ბასა ხურციძე



## ელგერას ძირითადი პრეპა

### იქაბარიამ ხოაინი სააზზე დასვა

შაბათს ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრების მსურველი ათი გუნდი პირველ საპლეიოფო მატჩებს ჩაატარებს. ესპანეთის ნაკრები, რომელმაც თავის ჯგუფში სრულიად მოულოდნელად პირველი ადგილი და პორტუგალიის პირდაპირი საგზური საბერძნეთს გადააბარა, ნორვეგიას მასპინძლობს. ესპანელებმა მატჩისთვის მზადება გუშინ, მადრიდის ახლოს, ლას როხასის ბაზაზე დაიწყეს. სხვებთან ერთად ივარჯიშეს გარემარბმა ხოაკინმა და ცენტრალურმა მცველმა ივან ელგერამ, რაც ამ დროისთვის ესპანელთა ბანაკიდან მოსული მთავარი ამბავია.

ბეტისის“ და „ბარსელონას“ მატჩი გამოტოვა და ფეხის ტკივილისგან ოდენ სამშაბათს გათავისუფლდა. ივან ელგერას არყოფნაში კი „რეალი“ სევილიაში განადგურდა. ნაკრების მწვრთნელ ინაკი საესისთვის ამ ფეხბურთელების გამოჯანმრთელება, ცხადია, სასიამოვნო ამბავია, თუმცა ისიცაა, რომ მათი სრულფასოვანი შემცვლელები ისედაც ეგულებოდა და არხენად იყო. ფიქრობენ, რომ ხოაკინი მატჩის დასაწყისს სათადარიგოთა სკამზე შეხვდება, ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე კი ბილბაოელი ხოსება ეჩებერია ითამაშებს. აი, ელგერას კი ალბათ მინც სასტარტო შემადგენლობაში მოუწევს თამაში.



ივან ელგერა



იყო დრო, რომალდო და აღრიანო „ინტერში“ ერთად თამაშობდნენ

## ადრიანო ჟრის და კერკირს რონი, დავბრუნდეთ ინტერში

„პარმას“ 21 წლის ბრაზილიელი ფორვარდი ადრიანო, რომელიც მომავალ სეზონში „ინტერში“ უნდა დაბრუნდეს, ბოლო დროს გასაკვირ და ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებს. ერთი თვის წინ ადრიანომ პრესას განუცხადა, რომ ბერტო მანჩინი ჩინებული მწვრთნელია და „ფიორენტინაში“ მცირე ხნით ერთად რომ ვიყავით, იმის მერე მის დამოძღვრულ გუნდში თამაშზე ვოცნებობო. ამას იტალიურმა ჟურნალ-გაზეთებმა კუდი გამოაბეს და გაავრცელეს ინფორმაცია, თითქოს სულ მალე ადრიანო „ლაციოში“ აღმოჩნდება. მერე კი უფრო შორსაც წაივინდნენ — მომავალ სეზონში მორატი დაკერონის რომბერტო მანჩინით შეცვლას აპირებს და ბრაზილიელიც სწორედ იქ

შეყრება საყვარელ მწვრთნელსო. მერე ადრიანომ ისეთი რამ თქვა, იტალიელი ჟურნალისტების სულ დაბანია. ბრაზილიელმა, „მილანი“ საოცნებო გუნდია და მის მათსურას ღიდი სიამოვნებით მოვირგებდიო. თუმცა ამ განცხადებას „შეწილლებისგან“ გამოხმაურება არ მოჰყოლია და მითქმა-მოთქმაც მალე შეწყდა.

და კვლავ „ინტერი“. ადრიანოს „შეწილურებაში“ რომალდოს შესაძლო დაბრუნება რომ გაუგია, უთქვამს — „ჩვენ ერთად ძალიან იშვიათად ვთამაშობდით, როდესაც ორივენი „ინტერში“ ვიყავით. მისი პარტნიორობა ნამდვილად საოცნებოა და ღიდი იმედი მაქვს, რომ სულ ცოტა ხანში ეს ოცნება ამიხდება. რაც შეეხება ტრავმას. ვფიქრობ,

საშიში არაფერია. მალე „პარმას“ დაუბრუნდები და თამაშს განაგრძობ, რის მერეც უკვე ნამდვილად ვიქნები მზად „ინტერში“ გადასვლისთვის“.


ამ განცხადებამ კიდევ უფრო გამამძფრა მითქმა-მოთქმა რომალდოს „ინტერში“ დაბრუნებაზე, რაც ფანტასტიკის სფეროს ნამდვილად არ მიეკუთვნება. „კიტა“ ყოველთვის დაინტერესებული იყო „შეწილურებაში“ ბედით და რჩევებს აძლევდა გუნდის ხელმძღვანელობას, ხოლო ბოლო დროს, როგორც იცით, „სან სიროზე“ კიდევ ერთხელ თამაშის სურვილიც გამოთქვა. თანაც, „რეალს“ და „ინტერს“ დღემდე ვერ მოუგვარებიათ მის ტრანსფერთან დაკავშირებული პრობლემა.

გიორგი ბაბაბაძე




# ლიდსი პერ პოიზდის


მას მერე, რაც „ლიდსი იუნაიტედმა“ მენეჯერი პიტერ რიდი დაითხოვა, ეს კი ორმაბათს მოხდა, ინგლისელ ფეხბურთის მოყვარულთა და ექსპერტთა მთავარი კითხვა ესაა: ვინ გახდება „ლიდსის“ მომდევნო მენეჯერი. პიტერ რიდი კი, რომელსაც ოდენ 22 მატჩი ჩაატარებინეს, კლუბის მესამე დათხოვნილი მენეჯერი იყო ბოლო რვა თვის განმავლობაში დევიდ ოლირის და ტერი ვენიბლზის მერე




გარი მეგსონი



პოლ პარტი



გორდონ სტრახანი



პოვარდ უილინსონი

## უღიანსონი დახატულ შეგირღებს ერთმანეთში ვერ ანსხვავებს

და როგორც კი ნამდვილ მენეჯერს იპოვნინ, ისევე თანაშემწედ გაამწყსებენ.

ნამდვილ მენეჯერობას კი ინგლისური მედია სამ კანდიდატს უქადის. ესენი არიან პოლ პარტი, გარი მეგსონი და გორდონ სტრახანი. და რაკი ასეა, ჟურნალისტები უწინარესად პოვარდ უილინსონის აზრით დაინტერესდნენ — სამივე კანდიდატი თავის დროზე უილინსონის ფეხბურთელი იყო.

პარტი 1984 წელს „შეფილდ უენსდისში“ მომუშავე უილინსონმა „ნოტიცემ ფორესტიდან“ წაიყვანა, იმ გუნდიდან, რომლის მენეჯერიც პარტი ახლას.

„შეფილდშივე“ წაიყვანა უილინსონმა მეგსონი, ოღონდ „პლიმუთიდან“. ახლას კი მეგსონი „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს“ წვრთნის.

გორდონ სტრახანს კი უილინსონმა უკვე „ლიდსში“ მისვლის მერე დაადგა თვალი და მანჩესტერელი ფეხბურთელი უილინსონის

„ლიდსის“ პირველი შენაძენი გახდა. დღეს სტრახანი „საუთჰემპტონს“ მენეჯერობს და გეხსომებათ, წინა სეზონში გუნდი ასოციაციის თასის ფინალშიც გაიყვანა.

დააკვირდებოდით, რომ პარტიც, მეგსონიც და სტრახანიც უილინსონს გუნდებში კი არ ზედებოდნენ, თავად მიჰყავდა. ამდენად სამივეს კარგად იცნობს და ჟურნალისტები მისი აზრით რომ დაინტერესდნენ, გასაკვირი არ არის.

უილინსონი სამივე კანდიდატზე ერთად: „როცა პარტს, მეგსონს და სტრახანს ვუყურებ, ერთუზიანობის, ფეხბურთის ფანტატიკური სიყვარულის, ძალის, ცოდნის და მტკიცე ხასიათის საოცარ ნახავს ვხედავ. მეკითხებით, პოლი, გორდონი თუ გარი? ნებისმიერი მათგანი „ლიდსისთვის“ იდეალური მენეჯერი იქნება. სტრახანს და მეგსონს პრემიერლიგაში უმუშავიათ, პარტს არა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს,

მასაც საკმაო ცოდნა და გამოცდილება აქვს.“

უილინსონი „ლიდსზე“: ბევრი ადამიანი დარწმუნებულია, რომ „ლიდსი“ პირველ დივიზიონში უეჭველად გაეარდება. რატომ? აქ ძალიან კარგი ფეხბურთელები თამაშობენ, წინ ძალიან ბევრი მატჩია და კიდევ უამრავი ქულაა გასათამაშებელი. ამიტომ პრემიერლიგაში დარჩენის შანსი ძალიან დიდია.“

აი, „ლიდსის“ ბრაზილიელი მცველი როკე ჟენიორი, რომელიც „მილანიდან“ იჯარითაა წაყვანილი, ფიქრობს, რომ ახალი მენეჯერის მოყვანა საერთოდ არ იყო საჭირო, საქმეს პიტერ რიდიც მშვენივრად უძღვებოდა და კრიზისის რეალური მიზეზი თავში ნახსენები სიდუხჭირეა — მოგეხსენებათ, „ლიდსის“ ვალები 80 მილიონ გირვანქას უტოლდება.

„ბევრ დიდ მწვრთნელთან მიმუშავია — თქვა ჟენიორმა — თუ

ნდაც ლუიშ ფელიპე სკოლარისთან, რომელმაც ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონი გახადა, ან კარლო ანჩელოტისთან, რომელმაც „მილანს“ ჩემპიონთა თასი მოაგებინა. იმის თქმა მსურს, რომ ძალიან კარგად ვიცი, როგორიც უნდა იყოს კარგი მწვრთნელი და ვთვლი, რომ პიტერ რიდი სწორედ ასეთი კაცი იყო. მისი ვარჯიშების სისტემა ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია, რაც კი მინახავს.“

ამასობაში „ლიდსმა“ ცარიელი სალარო 130 ათასი გირვანქით შეივსო. ბევრი არ არის, მაგრამ სულ არაფერს ხომ სჯობს. ეს ფული მარკ ვიდუკას დაქვითული ხელფასია. ფეხბურთელი იმისთვის დასაჯეს, რომ წინა უქმეებზე პორტსმუთში თამაში იუარა. გეხსომებათ, რომ სწორედ პორტსმუთში წაგებულ თამაშს გადააყოფეს პიტერ რიდი. ასე რომ, შეიძლება ითქვას, გაგდებულმა რიდმა კლუბს 130 ათასი დაუტოვა.

და ბოლოს, პოვარდ უილინსონი, რომელიც ამდენჯერ ვახსენეთ, დღეს 60 წლისა მოიყარა.

ირაკლი ნინიძე


# 12 მილიონი და დიდი ამბიციის ჯერარდი-ლიმპერკული სამი ფლით გაბრკელდება

სტივენ ჯერარდმა „ლივერპულთან“ ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი. ის კვირაში 60 ათას გირვანქას მიიღებს, ანუ მომდევნო სამ წელიწადში — ეს ახალი კონტრაქტის ვადაა — 12 მილიონით გამდიდრდება

ცხადია, ჯერარდი პირად მონაგართა გაზრდასაც შეეცდება და ისიც ცხადია, რომ გამოუვა. ჯერარდი „ლივერპულის“ კაპიტანია, ოცზე მეტი სანაკრებო კეპი დაუ-



სტივენ ჯერარდმა ჟერარ ულიე კრიტიკოსებისგან დაიცვა



გროვებია და ორასზე მეტჯერ უთამაშია „ლივერპულის“ მაისურით — 23 წლის ბიჭისთვის ეს ურიგო მონაგარი არ არის. თამაშად შეიძლება ითქვას, დიდი მიღწევაა და მონაგარის გაზრდა რომ ვახსენეთ, სწორედ ის ვიგულისხმებთ, რომ მას ყველაფერი წინ აქვს.

— დახს, საკმაოდ ბევრს მივალწიე — თქვა კონტრაქტის გაგრძელების მერე ჯერარდმა — მაგრამ ჩემს კოლექციას რამდენიმე ვიღო კიდევ აკლია. ეს ნიშნავს, რომ ამბიციას კიდევ საკმარისად მაქვს.

ახალი კონტრაქტი კი გააფორმა, მაგრამ სტივენ ჯერარდს ჯერ ძველი კონტრაქტის ვადა არ გასვლია, იქამდე 18 თვეა დარჩენილი. მაგრამ ხომ იცით, როგორც ხდება — კლუბი ნერვიულობას იწყებს, ეშინია, რომ ფეხბურთელი თავისუფალ აგენტად არ ექცეს. ამასობაში ჭორებიც აგორდებიან-ხოლომე, ფეხბურთელს გუნდიდან წასვლა უნდაო და ათასგვარ ვარიანტებს ასახელებენ. საბოლოოდ კი, როგორც წესი, ყველაფერი ტყუილი გამოდგება და კლუბი და ფეხბურთელი ახალ კონტრაქტზე თანხმდებიან. ასე იყო ჯერარდის შემთხვევაშიც.

— „ლივერპული“ ამბიციური კლუბია და მუდამ წინ იყურება. ასე რომ არ ყოფილიყო, კონტრაქტს არავითარ შემთხვევაში არ გაეაგრძელებდი — დასძინა ჯერარდმა

— არც იმ შემთხვევაში დავრჩებოდი, ხელმძღვანელობას ჩემი მოთხოვნების დაკმაყოფილება რომ შეძლებოდა. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია ლივერპულელი გულშემატკივრებელი დებიუტის დღიდან მათ მხარდაჭერას და სიყვარულს ვგრძნობ და შესაბამისად, მათ წინაშე თავს რაღაცნაირად დავალბებულად მივიჩნევ.

ჯერარდმა თავისი ბოსი ჟერარ ულიეც დაიცვა, რომელსაც ბლომად კრიტიკოსები გამოუჩნდნენ, რაკილა, ვეროპის ერთ-ერთი უდიადესი კლუბი ინგლისის ჩემპიონობისთვის რა ხანია, ვეღარ იბრძვის.

— ულიეს კრიტიკა უსამართლოა. მერწმუნეთ, ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ის ჩემი უფროსია. უბრალოდ დაითვალეთ, „ლივერპულმა“ რამდენი ჯილდო მოიგო ულიეს ხელში. ცუდი მწვრთნელი ამას ვერ შეძლებდა.

თავად ჟერარ ულიეს შემდეგი მიზანი კი მაიკლ ოუენთან ახალი კონტრაქტის გაფორმებაა. ძნელი საქმეა — ოუენს ხომ „რეალი“ და „ბარსელონა“ უმიზნებენ.

ირაკლი ნინიძე

**რეკლამა**  
სარბიელ-ში  
Tel: 39 40 08,  
93 16 08;  
Fax: 94 33 80









საუკეთესო პროგნოზისტის კონკურსი „ფანგო 2003-2004“

Table with 4 columns: III ეტაპი, XI ტური, სახელი, მამის სახელი, გვარი, შტამის ადგილი, III ეტაპი, XI ტური ჩაბარების ბოლო ვადა 14.11.03, სახელი, მამის სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი.

Table with 8 columns: დრო, თარიღი, გუნდები, პროგნოზი (ანბანით), დრო, თარიღი, გუნდები, პროგნოზი (ანბანით). Rows include teams like შოტლანდია, ხორვატია, რუსეთი, ლატვია, ესპანეთი, შვეცია, შვეიცარია, პორტუგალია.

Two identical tables for III ეტაპი, XI ტური, showing match schedules and forecasts for teams like შოტლანდია, ხორვატია, რუსეთი, ლატვია, ესპანეთი, შვეცია, შვეიცარია, პორტუგალია.

Two identical tables for III ეტაპი, XI ტური, showing match schedules and forecasts for teams like შოტლანდია, ხორვატია, რუსეთი, ლატვია, ესპანეთი, შვეცია, შვეიცარია, პორტუგალია.

ყურადღება! საკონკურსო ბიულეტენების ჩაბარება შეიძლება 15 ნოემბერს 17 საათამდე ტოტალიზატორ „ტაიმიში“ და გაზეთ „ახალი ვერსის“ რედაქციაში (შხოლოდ 15 ნოემბერს)

მისამართი, მდგომარეობა რვა ტურის შემდეგ (წინასწარი შედეგები)

Table with 3 columns: ადგილი, გვარი, სახელი, მამის სახელი, ქულა. Lists top performers like ვეშაპიძე, ბარბაქაძე, სულაშვილი, ბუნიაშვილი, ფარცვანია, გოგონაძე, ნიკლაური, გვინჩიძე, ფეიქრიშვილი, სოლოლაშვილი, კაციტაძე, ულენტი, ხუროშვილი, სანიკიძე, ნუცუბიძე, მამუკაშვილი, ფირცხალაშვილი, რურუა, ფაცია, ფვანია, ჭუმბურიძე, ნინიაშვილი, ბახტაძე, მირიანაშვილი, კერესელიძე, მელინიკაური, ოსიაშვილი.

შედეგების გავრცელება შეიძლება 18 ნოემბერს 11-დან 15 საათამდე გაზეთ „ახალი ვერსის“ რედაქციაში, ალაშვილის ვეზ, მ-3 სათაური (ბარდა პარსაივისა და ავირისა)

საკონკურსო გიულეტენები მიიღება

- 1. ტოტალიზატორ „ტაიმიში“, კოსტავას ქ. №37.
2. მეტრო „ვეზლის მოედანი“ პირველი გამოსასვლელი „პლანეტის“ ჯიხური №8
3. მეტრო „გოცირიძე“ ფორტე 4
4. დოლიძის ქუჩის კუთხეში „პლანეტის“ ჯიხური №18 ატელიეს წინ
5. მეტრო „ვარკეთილი“ ფორტე 2
6. მეტრო „სამგორი“ ფორტე 9
7. მეტრო „თავისუფლების მოედანი“ მაღაზია „თბილისი“
8. მეტრო „ახმეტელი“ ფორტე 7
9. მეტრო „ღრმაღელე“ „პლანეტის“ ჯიხური №20
10. მეტრო „დიდუბისთან“ „პლანეტის“ ჯიხური №17
11. ვადასასვლელ ხიდთან „პლანეტის“ ჯიხური №16
12. მარჯანიშვილის მოედანზე „პლანეტის“ ჯიხური №15
13. „მაცნეს“ ჯიხური №22 (უნივერსიტეტის პირდაპირ)
14. „მაცნეს“ ჯიხური №29 (მეცხურ საავადმყოფოს პირდაპირ)
15. ქუთაისში ნიუპორტის ქ. 1 ოთახი 21 (მესხიშვილის თეატრის უკან)
16. ბათუმში ზუბალაშვილის №13 (ავთო გადაზამაძე, 12-დან 15 საათამდე, 7-45-82)
ცვლად მიმღები პუნქტი აღნიშნული ფორტეები მდებარეობს მეტროში

III ეტაპის VII ტურის წინასწარი შედეგები

Table with 3 columns: ადგილი, გვარი, სახელი, მამის სახელი, ქულა. Lists results for VII round with teams like შოტლანდია, ხორვატია, რუსეთი, ლატვია, ესპანეთი, შვეცია, შვეიცარია, პორტუგალია.

III ეტაპის VIII ტურის წინასწარი შედეგები

Table with 3 columns: ადგილი, გვარი, სახელი, მამის სახელი, ქულა. Lists results for VIII round with teams like სულაშვილი, კერესელიძე, მირიანაშვილი, ჩიხრაძე, ჩოფიაშვილი, ციციძე, ბუნიაშვილი, სანიკიძე, ლვინიაშვილი, ბარბაქაძე, ბედოშვილი, ჯორბენაძე, ქეზულაძე, ბახტაძე, მამუკაშვილი, მორჩიაშვილი, შენგელია, ჭუმბურიძე, ხარხელაური, გვინჩიძე, ფვანია, ფირცხალაშვილი, აბესაძე, ინასარიძე, მელინიკაური, ქეხიშვილი.

კვირის კალენდარი

- 10 ნოემბერი - გაზეთი „ახალი ვერსია“, მისამართი მითითებული ტური, ორი ვარიანტი, ევროპის ქვეყნების შესარჩევი (19 ნოემბერი), მისამართი მითითებული ტურის წინასწარი შედეგები, მდგომარეობა რვა ტურის შემდეგ.
11 ნოემბერი - გაზეთი „სარკილი“, მისამართი მითითებული ტური, ორი ვარიანტი, ევროპის ქვეყნების შესარჩევი (15 ნოემბერი).
12 ნოემბერი - გაზეთი „სარკილი“, მისამართი მითითებული ტური, ორი ვარიანტი, ევროპის ქვეყნების შესარჩევი (15 ნოემბერი), მისამართი მითითებული ტურის წინასწარი შედეგები, მდგომარეობა რვა ტურის შემდეგ.
13 ნოემბერი - გაზეთი „სარკილი“, მისამართი მითითებული ტური, ორი ვარიანტი, ევროპის ქვეყნების შესარჩევი (15 ნოემბერი), მისამართი მითითებული ტურის წინასწარი შედეგები, მდგომარეობა რვა ტურის შემდეგ.
14 ნოემბერი - გაზეთი „სარკილი“, მისამართი მითითებული ტური, ორი ვარიანტი, ევროპის ქვეყნების შესარჩევი (15 ნოემბერი).
15 ნოემბერი - გაზეთი „სარკილი“, მისამართი მითითებული ტური, ორი ვარიანტი, ევროპის ქვეყნების შესარჩევი (15 ნოემბერი), მისამართი მითითებული ტურის წინასწარი შედეგები, მდგომარეობა ათი ტურის შემდეგ.







# პარა ბელუმი

ამ შაბათ-კვირას ავსტრალიაში მიმდინარე მსოფლიოს სარაგბო თასზე ნახევარფინალები ჩათამაშდება. მასპინძლები ახალზელანდიელებს შეეხლებაინ, ინგლისელები კი — ფრანგებს. ინგლისელთა მეთრეხაზული ბენ კეი საამშატჩოდ აი, ასე, სურფინგობით ემზადება. ეს წმინდავიორგისჯვრიანი რაინდი კი ინგლისელთა ქომავია — თავისიანთაგან ის მხოლოდ თავდადებულსა და ჯიქურ რაგბრძოლას მოელოის.




REUTERS პრინციპიდან




REUTERS სიღწვიდან

# ბრალის მცველი

ვენაში ცხენსტომის მორიგი შეჯიბრი ჩავრიალდა. ყველას აჯობეს გერმანელმა ჰაინრიხ იოჰანსმანმა და მისმა ბედაურმა „გრაფსჰიუტერმა“, რაიც ჩვენებურად „გრალის მცველად“ ითარგმნებოდეს იქნება.



REUTERS ვენიდან



REUTERS ნიუ იორკიდან

# ესენის ირსუბაზან

ესენი კანადელი მოკრივე არტურო გატი (მარცხნივ) და მისი იტალიელი ვიზავი ჯანლუკა ბრანკო გახლავან. როგორც იუწყებიან, ამ მუშტებს ისინი ერთმანეთს 24 იანვარს, ნიუჯერსულ ატლანტიკ სიტიში დაუშენენ. ფსონში WBC-ის ვერსიით ზემსუბუქ წონაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული იქნება.



REUTERS სან პაულუდან

# მონტოია-კარტოია

მეფორმულაერთე მძლიოლები ახლა შეგებულებაში არიან და ზოგი რას აკეთებს, ზოგიც — რას. ხუან პაბლო მონტოია, მავალითად, სან პაულუში ჩასულა და პეტრობრასელ მძლიოლებთან ერთად იქაურ კარტობაშიც ვარეულა. ფოტოზე სწორედ იმას ხედავთ, თუ როგორ ათვალაიერებს ის თავის საჭენაო კარტს რბოლაძდე.

## სარბიელი

საორტული გაზაფთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოცემის სამგაბათს, ოთხგაბათს, ხუთგაბათს, კარასკაპს და შაბათს

გამომცემელი შურაბ ზონცხპირია  
დირექტორი გიორგი ოძროშაძელია  
რედაქტორი თამაზ მიგრიაული  
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეშიძე  
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბაშვილი  
ქართული ფეხბურთის რედაქტორი დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე  
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე  
ლალო ხომერიკი, ვაკე ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი შირაშვილი  
ინფორმაციის რედაქტორი: ვია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კვლავაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე  
კორესპონდენტი გერმანიაში: ვანო ოქროპირიძე  
ფოტორეპორტიორები: გურამ დღუნჯაშვილი, ლალი კუთილაძე  
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი  
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ზაორნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დეკაძე, ფატი დვალისხელი, მაგლა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, ალექსანდრე ყაზვასის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.  
საფოსტო მისამართი:  
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29  
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge  
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge